ყოჩაღ, დინამოელებო!

დამთავრდა თუ არა თამაში, რედაქციაში ტელეფონების ზარი აწკრიალდა. გაუთავებლად რეკავდნენ გულშემატკივრები, გვილოცავდნენ, სიხარულს ვერ ფარავდნენ. პირველმა სტომატოლოგმა ომარ ნემსაძემ დაგვირეკა:

– ჩარგალში ვიყავი დღეს, ვაჟაობაზე. ტელევიზორს ძლივს ჩამოვუსწარი. ყოჩაღ, ბიჭები. ჟინი, შემართება, რომელიც თითოეულმა ქართველმა ფეხბურთელმა გამოიჩინა ბოლომდე. განსაკუთრებით 11–მეტრიანი დარტყმების შესრულებისას, აღტაცებას და სიამაყეს იწვევს: ჩივაძე, დარასელია, შენგელია, მანუჩარ მაჩაიძე, სულაქველიძე, და, რა თქმა უნდა, გაბელია… ყოჩაღ, ბიჭებო, ყოჩაღ, თბილისის “დინამო” – საბჭოთ კავშირის თასის ორგზის მფლობელო!

აკადემიკოსი გიორგი შხვაცაბაია ჩვენი რედაქციის ძველი მეგობარია, იგი ხშირად გამოდის გაზეთის ფურცლებზე, ამიტომ არც გაგვკვირვებია, გვიან ღამით რომ დაგვირეკა ლიკანის სანატორიუმიდან:

– მომილოცავს, გკოცნით, მიხარია. როგორც ყოფილ ფეხბურთელს კარგად მესმის, რომ სამი კვირის განმავლობაში არც მეტი, არც ნაკლები 9 შეხვედრა ჩაატარო, ამასთან სამ ფრონტზე – სპარტაკიადის, ჩემპიონატისა და თასის ფინალში, ძალზე, ძალზე ძნელი საქმეა. სწორედ ჩვენი გუნდის გადაღლილობამ გამოიწვია ის, რომ თამაში სულ მუდამ სასურველად როდი მიდიოდა, მაგრამ ქართველმა ფეხბურთელებმა ლუჟნიკის სავსე ტრიბუნებს უჩვენეს ის, რაც ასე აკლდა უწინ – დიდი ბრძოლისუნარიანობა, შემართება და უდრეკი ნებისყოფა ბოლო წუთებამდე, უკანასკნელ დარტყმამდე!

“ლელო”, 12 აგვისტო, 1979 წ.